ხელშეკრულება №9/11/17

ქ. თბილისი 9 ნოემბერი 2015 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი", წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის ნინო ნახუცრიშვილის სახით (შემდგომ -„შემსყიდველი") და მეორე მხრივ სსიპ „გორის ქალთა კამერული გუნდი", წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის თეონა ცირამუას სახით (შემდგომ -„მიმწოდებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით „მიმწოდებელი"იღებს ვალდებულებას მონაწილეობა მიიღოს შემსყიდველის მიერ 2015 წლის 10 და 11 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში დაგეგმილ ღონისძიებაზე - „ჩვენი ყანჩელი", რომელიც ეძღვნება კომპოზიტორ გია ყანჩელის 80 წლის იუბილეს(შემდეგში „სამუშაო")(CPV-92300000) (დაფინანსების წყარო- საკუთარი სახსრები)

1.2. „შემსყიდველი" თავის მხრივ კისრულობს ვალდებულებასხელშეკრულების 1.1. პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის გადაუხადოს „მიმწოდებელს" მომსახურების ღირებულება (ჰონორარი) 7500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

1.3. 1.2. პუნქტში გათვალისწინებული თანხა გადაერიცხება „მიმწოდებელს" მის მიერმითითებულ საბანკო ანგარიშზე.

1.4. 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10 პრიმა მუხლის III პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრისგანკარგულება №98.

2. მხარეთაუფლებები და ვალდებულებები

2.1.„მიმწოდებელმა" 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „სამუშაო" უნდა შეასრულოს საქართველოში მოქმედიხარისხის ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

2.2. „შემსყიდველი" ვალდებულია განიხილოს შესრულებული „სამუშაო" და წერილობით შეატყობინოს „მიმწოდებელს" „სამუშაოს" მოწონების ანდა მისი დაწუნების ან მასში შესწორებათა შეტანის აუცილებლობის შესახებ.

2.3. თუ „მიმწოდებელს" 7 (შვიდი) დღის ვადაში არ გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება, შესრულებული „სამუშაო" „შემსყიდველის" მიერ მოწონებულად ითვლება.

2.4 იმშემთხვევაში თუ „მიმწოდებლის" მიერ განხორციელებული სამუშაო არ შეესაბამება ხელშეკრულების 1.1. პუნქტში ასახულ პირობებს, „შემსყიდველს" უფლებააქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან შეუმციროს სახდაური „მიმწოდებელს" იმ თანხით, რათა ნხითაცნაკლიამცირებსშესრულებულისამუშაოსღირებულებას.

3.ხელშეკრულების ვადა

3.1. „შემსყიდველის" მიერ „სამუშაოს" მიღება ხდებამიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

3.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2015 წლის 30 დეკემბრამდე.

3.3. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით;
ბ) „შემსყიდველის" მიერ, „სამუშაოს" დასრულებამდენებისმიერდროს;

3.4. იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულება წყდება 3.3. პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე „შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" შესრულებული „სამუშაოს" ღირებულება.

4. ზიანისანაზღაურებისვალდებულება

4.1. მხარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებულიზიანი.

5. ფორს-მაჟორი

5.1 ხელშეკრულების მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელიც სცილდება მხარეთა კონტროლს და რომლის მოქმედებაც არ არის დამოკიდებული ერთ-ერთი მხარის ნებაზე.

5.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

6. დავა

6.1. მხარეებს შორის დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.
6.2. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლო წესით.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

7.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „დამკვეთი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხერასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანასწორი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.

8.2. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ანდა მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“	სსიპ „გორის ქალთა კამერული გუნდი“
საიდენტ. კოდი 205065196	საიდენტ. კოდი 218062646
მის.: თბილისი. ბარნოვის ქ. №54	მის.: ქ. გორი,სამეფო ქ. №17
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი	მიმღები ბანკი
სახელმწიფო ხაზინა	სახელმწიფო ხაზინა
მიმ. დას.-ხაზინის ერთიანი ანგარიში	მიმ. დას.-ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TREGE22	ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა 7 0808 7162	ა/ა 708127166
გენერალური დირექტორი	სამხატვრო ხელმძღვანელი
.....	.....
ნინო ნახუცრიშვილი	თეონა ცირამუა